

უკ-78

ქრონოტოპული აზროვნების გამოვლენისთვის ქართულ ტრადიციულ და პროფესიულ საგუნდო მუსიკაში

შოი აბრახამია

ხელმძღვანელი: ემერიტუსი, პროფესორი რუსუდან წურჭუმია

ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია
თბილისი, 0108, გრიბოედოვის 8/10

ანოტაცია:

დროისა და სივრცის კატეგორიების მეშვეობით ადამიანმა უძველესი დროიდან ჩამოაყალიბა სამყაროს საკუთარი მოდელი, რომელშიც გამოვლენილია სამყაროს აღქმა და სინამდვილის გააზრება. როგორც ცნობილია, დროისა და სივრცის შესახებ პირველი წარმოდგენები პალეოლითში ჩამოაყალიბდა. ქრონოტოპების (დროისა და სივრცის) სხვადასხვაგვარი აღქმა კულტურის ყველა სფეროში, სხვადასხვა ნიშან-სიმბოლოს საშუალებით გამოიხატებოდა. არქაულ საზოგადოებაში არსებობს მსოფლგაგების ერთადერთი ფორმა – მითი, სადაც დროისა და სივრცის კატეგორიები ერთგვაროვანია და განუყოფელ მთლიანობას წარმოადგენენ. მითოლოგიურ წარსულში მოხდა სამყაროს, საკრალური დროისა და სივრცის გაჩენა, რომელთაც აუხსნელი, განსაკუთრებული ძალა მიეწერებოდათ. წარმოდგენები თანდათან შეიცვალა მეცნიერული შეხედულებებით, ხოლო განსაკუთრებული ყურადღება დროით-სივრცულ ასპექტებზე მე-20 საუკუნიდან გამახვილდა. მისი ფილოსოფიური და მხატვრული ასპექტებით მუსიკალურ ხელოვნებაშიც დაინტერესდნენ. კვლევის მიზანს ქართულ სასიმღერო ფოლკლორში ქრონოტოპული აზროვნების თავისებურებების გამოვლენა წარმოადგენს. შესაბამისად, მასში განხილულია გავრცელებული წარმოდგენები დროით-სივრცული კატეგორიების შესახებ; გამოყოფილია ზოგადადამოსავლური, დასავლეთევროპული და ქართული მითოლოგიური ქრონოტოპული მხატვრულ-ფილოსოფიური მიდგომები; გაანალიზებულია მათი ასახვის პრინციპები ქართულ სასიმღერო ფოლკლორში და მასზე აღმოცენებულ პროფესიულ საგუნდო მუსიკაში ჟანრის კლასიკოსის - ნიკო სულხანიშვილის გუნდების მაგალითზე.

საკვანძო სიტყვები: დრო და სივრცე; ქრონოტოპები; ფოლკლორი; საგუნდო მუსიკა; ნიკო სულხანიშვილი.

შესავალი

დროისა და სივრცის შესახებ პირველი წარმოდგენები არქაულ საზოგადოებაში ყალიბდება, სადაც დრო და სივრცე განუყოფელ მთლიანობას წარმოადგენდა. მითოლოგიაში ხდებოდა მათი საკრალიზაცია და აუხსნელი, განსაკუთრებული ძალა მიეწერებოდა. ცხადია, რომ დროით-სივრცული კატეგორიებისადმი დამოკიდებულება სხვადასხვა ეპოქაში განსხვავებული იყო. ქრონოტოპების შესახებ წარმოდგენები სხვადასხვა დროს სამეცნიერო კვლევებით შეცვალეს ისეთმა მეცნიერებმა, როგორებიც იყვნენ: ნიუტონი, აინშტაინი, კესტლერი და სხვ.

პრობლემამ განსაკუთრებული აქტუალობა XX საუკუნეში შეიძინა. ის აქტუალური გახდა, ასევე, სამუსიკო ხელოვნებაში. მეცნიერული მოსაზრებები გამოთქვას ასაფიქვმა, ორლოვმა, მარტინოვმა და სხვებმა, რომლებიც განიხილავენ მუსიკაში დროისა და სივრცის კატეგორიების როგორც მხატვრულ-ესთეტიკურ, ისე მუსიკალურ-სტრუქტურულ ასპექტებს. აღსანიშნავია, რომ 2017 წელს ქართულ მუსიკოლოგიაშიც გაჩნდა სამეცნიერო პუბლიკაცია მედეა ქავთარაძის ავტორობით, რომელიც პირველად მიემდგვნა დროისა და სივრცის პრობლემას საგუნდო მუსიკაში (ქავთარაძე, 2017).

ამდენად, კვლევის საგანს წარმოადგენს ქართულ ტრადიციულ მუსიკალურ აზროვნებაში გამოვლენილი დროით-სივრცული ასპექტები; შედეგად, მიზანია ეროვნული სასიმღერო ფოლკლორისა და საგუნდო მუსიკის პირველი კლასიკოსის - ნიკო სულხანიშვილის შემოქმედებაში ქრონოტოპული კატეგორიების მხატვრული პარამეტრების დადგენა. ამ მხრივ, ქართულ ტრადიციულ და პროფესიულ საგუნდო მუსიკაში ქრონოტოპების გამოვლენის თავისებურებების კვლევის იმპულსებს ჰენრიხ ორლოვის მეცნიერული მოსაზრებები იძლევა. ის დროისა და სივრცის გაგების დიფერენცირებას კონტინენტურ-რეგიონული და მასთან დაკავშირებული მსოფლხედვების შესაბამისად ახდენს (Орлов, 1992). ორლოვი აღნიშნავს დროის ორ ძირითად აღქმას: ზოგადევროპულსა და აღმოსავლურს. მისი თქმით, სიტყვას - „დრო“ სხვადასხვა კულტურაში სხვადასხვაგვარი გაგება აქვს. დროის დასავლურ და აღმოსავლურ გაგებას შორის განსხვავებას იგი ნორდროპის ციტატით განმარტავს: „დასავლეთის ადამიანისათვის დროის ხატი ან ისარია, ან მდინარის მოძრაობა, რომელიც მოედინება შორეული ადგილიდან და წარსულიდან, რომელიც არც აქაა და არც ახლა და გზას აგრძელებს ასეთივე შორეული ადგილისა და მომავლისაკენ. მაშინ, როდესაც აღმოსავლეთის ადამიანისთვის დრო წარმოადგენს მშვიდ, მდუმარე წყალსაცავს, რომლის ზედაპირი დროდადრო შეუმჩნევლად ირხევა და იქვე ქრება“ (იქვე:47). იდეას ორლოვი განავრცობს. მას მიაჩნია, რომ აღმოსავლეთის ადამიანმა მედიტაციებით დაიგროვა სპეციფიკური ცოდნა. მედიტაციურ განზომილებაში იგი მიჰყვება დროის სვლას, ყურადღებას მიმართავს სამყაროს ისეთ ასპექტებზე, რომელიც ემპირიული გამოცდილების შედეგად მიიღწევა და აღიქმება. თავის მხრივ, დასავლეთიც ითვალისწინებს ემპირიულ გამოცდილებას, თუმცა დასავლური ცოდნა დროის შესახებ ლოგიკასა და სამეცნიერო, ფილოსოფიურ ტრაქტატებში ჩამოყალიბებულ სწავლებებს ემყარება.

თუ აღმოსავლური აზროვნება დროის მდინარებას არ ეწინააღმდეგება, ევროპული ცდილობს დროის დამორჩილებასა და მასზე ზემოქმედებას. დროის უწყვეტობის დაძლევის ტენდენცია გაცნობიერებულ ხასიათს შუასაუკუნეების მხატვრულ აზროვნებაში იძენს. იგულისხმება ევროპელ კომპოზიტორთა მიერ შემუშავებული გამომსახველ საშუალებათა კომპლექსი, რომლის მეშვეობით მუსიკალურ ნაწარმოებში შესაძლებელი გახდა დროის დანაწევრება და მასზე ზემოქმედება, დროის დაბრუნება, ან სულაც „დროში მოგზაურობა“. მუსიკა პროცესია, დროის კონტინუუმი, რომელიც განისაზღვრება მეტრით, რიტმით და ტემპით, დროის სვლის განცდა უზრუნველყოფილია მუსიკალური ქსოვილის შეცვლის გზით, რაც მუსიკალურ გამომსახველობითი საშუალებებით ხორციელდება, რადგან ცვლილება მუსიკაში დროის საზომია. მუსიკალური სტრუქტურის ამ ფიქსირებულ ელემენტებს შორის ურთიერთობა მოქმედებს მუსიკის დროის სვლაზე; ამრიგად, დასავლურმა აზროვნებამ მუსიკალური გამომსახველობის საშუალებებით დაძლევადი გახადა დროის უწყვეტობა და დროის შეუქცევადობა (ტაქტირება, რეპრიზა, ტემპური ნიუანსების ცვლა და სხვ.).

ორლოვი ეხება მუსიკალური ნაწარმოების ფორმას, როგორც მუსიკის ერთ-ერთ დროით-სივრცულ ფაქტორს. მისი აზრით, მუსიკალური ბგერების მეშვეობით ნაწარმოებში იქმნება კონსტრუქციის იერარქია, რაც შედგენილია დიდი, თუ მცირე ხმოვანი ბლოკებისაგან (თემატური მასალისაგან), სწორედ ამ ბლოკების, ანუ „სამშენებლო მასალის“ სიმწყობრე აძლევს ნაწარმოებს როგორც ფორმას, ისე მათი ურთიერთქმედება - განვითარება ქმნის მუსიკალური დროის რთულ „პაკეტს“. ეს „კონსტრუქციული ბლოკები“ უპირველესად, ნაწარმოების მუსიკალური ქსოვილის აგების ფორმაზე, ანუ მის ფაქტურაზეა დამოკიდებული. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს პოლიფონიური ფაქტურა. პოლიფონია კი არა მარტო ევროპული მუსიკის უდიდესი მონაპოვარია, არამედ „ტრადიციული ქართული მუსიკალური აზროვნების ძირითადი კატეგორიაა“ (წურწუშია, 1998:50-57).

ქრონოტოპული აზროვნების გამოვლენისთვის ქართულ სასიმღერო ფოლკლორში

ქართული ტრადიციული მუსიკა ქვეყნის გამორჩეული გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო რთულ ფენომენს წარმოადგენს, რომელმაც ძველ კავკასიურ ძირებთან ერთად დასავლურ და აღმოსავლურ კულტურათა გავლენაც აირეკლა. ვინაიდან, დროისა და სივრცის კატეგორიები გამოხატავს ეთნოსის, ერის, საზოგადოების მიერ სამყაროსადმი დამოკიდებულებას, შესაბამისად ქართულმა ტრადიციულმა მუსიკამაც, მისი ისტორიულ-კულტურული განვითარების კვალდაკვალ, განიცადა ეთნოსის მსოფლმხედველობაში მომხდარი ცვლილებები.

ცნობილია, რომ შორეულ წარსულში „ხშირი იყო მიგრაციული პროცესები, მოსახლეობის გადასვლა-გადმოსვლა არა მხოლოდ კავკასიის იმ ნაწილში, რომელშიც ქართველი ხალხი მკვიდრობდა, არამედ მთელს კავკასიასა და წინა აზიაშიც, რადგან ეს რეგიონი ევროპისა და აზიის, სამხრეთისა და ჩრდილოეთის გზათა შესაყარზეა. საუკუნეთა განმავლობაში ქართული ეთნოსი ყველა იმ ხალხისაგან, ვისთანაც კი ურთიერთობა ჰქონია, შემოქმედებითად ითვისებდა არა ერთ კულტურულ მიღწევას, როგორც მატერიალური, ისე სულიერი კულტურის სფეროში. თავის მხრივ, ქართველი ხალხის მრავალი კულტურული მონაპოვარი ყველა მეზობელს, როგორც ჩრდილოეთით, ისე სამხრეთით და აღმოსავლეთით გადაეცემოდა“ (თოფჩიშვილი, 2007:3).

როგორც ცნობილია, ქართული კულტურის ორ - აღმოსავლურ და დასავლურ წრეს გამოჰყოფენ მის ძველ ცივილიზაციათა კონტექსტში განხილვისას. პირველმა ქართულმა სახელმწიფოებრივმა წარმონაქმნებმა - დიაოხმა და კოლხამ, ფაქტობრივად, უკვე გამოკვეთეს ქართული კულტურის ორი არეალი- აღმოსავლური და დასავლური (წურწუშია, 2020). რეგიონში მიგრაციების შედეგად კულტურულ გავლენებს ეთნომუსიკოლოგი ნინო ციციშვილი ქართული ტრადიციული მუსიკის მაგალითზე განიხილავს. როგორც ციციშვილი აღნიშნავს, ქართლ-კახური ე.წ. „გრძელი სიმღერების“ ჩამოყალიბებაში გარკვეული როლი სწორედ ისტორიულმა მიგრაციულმა პროცესებმა ითამაშეს, რაშიც „მონოდიური სასიმღერო სტილის მატარებელი ხალხები იყვნენ ჩართულები“ (ციციშვილი, 2010). მკვლევარი შედარებითი ანალიზის საფუძველზე ტიპოლოგიურ პარალელებს ავლევს აღმოსავლური მუსიკისა და ქართლ-კახური სიმღერების მახასიათებლებს შორის. სხვადასხვა პარამეტრიდან ის კილოსა და რიტმ-მეტრს გამოჰყოფს. მეცნიერი, ანალიზის შედეგად, ასკვნის, რომ მხოლოდ იმ ჟანრებში, რომლებშიც მელიზმური მელიოდიკა აშკარად მეტყველებს აღმოსავლურ გავლენებზე (ერთხმიან ოროველებსა და ურმულებში), სრულადაა გაბატონებული

ადმოსავლეთის მუსიკალურ კულტურებში გავრცელებული ტეტრაქორდული კილოები, ხოლო მრავალხმიან ბურდონულ გრძელ სიმღერებში - ადმოსავლეთ საქართველოს უძველესი სიმღერებისთვის დამახასიათებელი კვინტური დიატონიკაა გაბატონებული. იგი ფიქრობს, რომ ქართლ-კახური („გრძელი“ სუფრულების, „ურმულებისა“ და „ოროვლების“) სასიმღერო სტილი ორი, განსხვავებული მუსიკალური სტილის - უძველესი ავტოქტონური მრავალხმიანი, და ინდოევროპული ტომების მიერ ადმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გავლისას დატოვებული მონოდიური სტილების შერწყმის საფუძველზე უნდა ჩამოყალიბებულიყო. როგორც ცნობილია, ბურდონული ბანი ადვილად ჰგუობს მელიზმურ მელოდიკას და თავისუფალ მეტრ-რიტმს, შესაბამისად, ქართული მუსიკის ერთ-ერთმა იმანენტურმა მახასიათებელმა - ბურდონულმა მრავალხმიანობამ, ბუნებრივად მოირგო ადმოსავლური ერთხმიანი მელოდია, რომელიც, ზოგიერთ შემთხვევაში, მოგვევლინა ბურდონული ორხმიანობის, ხოლო, უმეტეს შემთხვევაში, განვითარებული ბურდონული სამხმიანობის სახით.

როგორც ვხედავთ, ქართლ-კახურ მუსიკალურ ფოლკლორში, სადაც წამყვანი ადგილი თავისუფალი მეტრით გადმოცემულ მელიზმურ, და გაშლილი მელოდიების განმეორებად რიტმულ დაჯგუფებებს უჭირავს, ვლინდება დროის ადმოსავლეთისთვის დამახასიათებელი გაგება. უსასრულო დროის შეგრძნებას აქ გაბმული ბურდონი ამბავრებს, რომელიც სპეციფიკურ სივრცულ ველსაც ქმნის. ბურდონული მრავალხმიანობა რომ ადმოსავლური ტომების საქართველოს გავლით მიგრაციამდეც იყო გავრცელებული ქართულ ტრადიციულ მუსიკაში, ამას ადმოსავლეთ საქართველოს მთის მუსიკალურ ფოლკლორის არქაული შრეებიც ადასტურებენ.

რაც შეეხება, ევროპული მუსიკალური აზროვნების მისწრაფებას დროის უწყვეტობისა და შეუქცევადობის დამლევსაკენ, ეს პრინციპები მკაფიოდაა გამოხატული დასავლეთ საქართველოს ტრადიციულ მუსიკაში, სადაც კომპლექსური და კონტრასტული მრავალხმიანობაა გავრცელებული, ხოლო მრავალხმიანობის ბურდონული ტიპი მხოლოდ ფრაგმენტულად გვხვდება. დასავლეთ საქართველოს, ძირითადად, ანსამბლურ სიმღერებში, მეტრი რეგულარულია, რიტმი - დანაწევრებული, ხოლო სტრუქტურა მოკლე რიტმული დაჯგუფებების განმეორებადობას ემყარება. აქ მკაფიოდაა გამოვლენილი დროის დამლევს ევროპული მუსიკალური აზროვნებისათვის დამახასიათებელი ტენდენცია.

ამას გარდა, დაკვირვებების შედეგად აღვნიშნავდი დროისა და სივრცის კიდევ ერთ სპეციფიკურ აღქმას, რომელიც უძველესი ეპოქისთვის იყო დამახასიათებელი და დღემდე მთაშია შემონახული. ცნობილია, რომ მთის წარმოდგენები დროსა და სივრცეზე ბევრად განსხვავდება ე.წ. ცივილიზებული სამყაროს ქრონოტოპული აღქმისაგან. საუბარია იმ ადრეულ პერიოდზე, როცა ადამიანი სამყაროს ერთ დიდ სივრცედ აღიქვამდა და მის ცენტრად საკუთარ მიწას მიიჩნევდა. ეს შესანიშნავადაა გამოვლენილი მთაში გავრცელებულ ისეთ მითებში, სადაც უაპელაციოდაა გაერთიანებული წარმართული ღვთაებები, ქრისტიანული წმინდანები და ისტორიული გმირები (მაგ.: სვანური ლეგენდა „დევის ნაგების“ შესახებ, რომელიც აერთიანებს განსხვავებულ ეპოქალურ და კულტურულ შრეებს, სადაც პერსონაჟებად გვევლინებიან თამარ მეფე, დევი, ლამარია (ღვთისმშობელი), ნადირობის ქალღმერთი დალი და ამინდის ღვთაება კვირიკე). მთაში დრო მოცულობითია და ამავე დროს შემჭიდროვებული, ვინაიდან მთის მეხსიერება უხსოვარი წარსულიდან ინახავს მითებსა და ლეგენდებს და მათ რეალურ ისტორიებთან ერთად თითქმის

თანადროულად აღიქვამს. ქართულ ტრადიციულ მუსიკაში ყველაზე არქაულად სწორედ აღმოსავლეთის მთისა და სვანური ფოლკლორია მიჩნეული, რომლებშიც დროის მითოლოგიური გაგება შეიძლება დავინახოთ. რაც შეეხება სივრცეს, ზოგადად სივრცული პარამეტრი ყველა ტიპის მუსიკას ახასიათებს, როგორც ერთხმიანს, ისე მრავალხმიანს. თუმცა, მრავალხმიანობა იქცა უმნიშვნელოვანეს ფაქტორად ამ პარამეტრის ზრდა-განვითარებისთვის. ჩემი აზრით, შესრულების რესპონსორულმა ფორმამ, ძველ საერო, ანუ ტრადიციულ მუსიკაში რეალურ, ობიექტურ სივრცესთან ერთად მხატვრულ-მუსიკალური სივრცეც განსაზღვრა. ამ პროცესში განსაკუთრებული როლი სწორედ მრავალხმიანობას მიუძღვის, რადგანაც მრავალხმიან სტრუქტურაში გამოვლინდა სივრცული აზროვნების ევოლუცია, რაც გამოიხატა ხმათა დამოუკიდებლობის ზრდაში, ანუ ფაქტურის მზარდ პოლიფონიზებაში.

როგორც ვხედავთ, ქართულ ტრადიციულ მუსიკაში საინტერესოდ და მრავალფეროვნად ვლინდება დროით-სივრცული კატეგორიების როგორც აღმოსავლური, ისე დასავლური და მითოლოგიური გაგება. ამ პროცესებმა თავი ახალ ქართულ პროფესიულ საგუნდო მუსიკაშიც იჩინეს, ვინაიდან ის სწორედ ტრადიციულ ქართულ მრავალხმიან საგუნდო მუსიკის ზოგად პრინციპებსა და ენას დაეყრდნო და საინტერესო განვითარება ჰპოვა.

დროით-სივრცული პარამეტრები ნიკო სულხანიშვილის შემოქმედებაში

ცნობილია, რომ ქართული პროფესიული საგუნდო მუსიკის ისტორია ნიკო სულხანიშვილის შემოქმედებით იწყება. მისი გუნდები ქართული ეროვნული მუსიკის ყველა სტილური ნიშან-თვისების მატარებელია და ემყარება საქართველოს სხვადასხვა კუთხის ფოლკლორს, ამიტომ, ბუნებრივია ისიც, რომ მის შემოქმედებაში ვლინდება ქართულ ტრადიციულ მუსიკაში ისტორიულად ჩამოყალიბებული მიდგომა დროით-სივრცული კატეგორიებისადმი. ამავე დროს, სულხანიშვილი ავლენს ევროპულ პროფესიულ საკომპოზიტორო აზროვნებას და მიმართავს ევროპულ საკომპოზიციო ხერხებსა და ფორმებს. ამდენად, მისი შემოქმედება ამ გამოცდილებათა სინთეზს წარმოადგენს. ამიტომ, ვფიქრობ, მართებულია, დაისვას საკითხი, მის მუსიკაში დროით-სივრცული კატეგორიებისადმი როგორც ტრადიციულ, ისე ზოგადევროპულ მიდგომათა არსებობის შესახებ. ამასთან, უნდა გასათვალისწინებელია, ისიც, რომ, ზოგადად, ნიკო სულხანიშვილის შემოქმედებაში დადასტურებული დროის დასავლური აღქმა არა მხოლოდ ევროპული აზროვნებიდან მომდინარე, არამედ ტრადიციული მუსიკის იმანენტური ბუნებით განპირობებული მოვლენაა. ტრადიციული და ევროპული მიდგომები რომ სულხანიშვილის მხატვრულ-მუსიკალური აზროვნების არსებითი, მახასიათებელია და არა ორი განსხვავებული კულტურული ტრადიციის ერთმანეთთან დაკავშირების ხელოვნური მცდელობა, ამის მტკიცების საფუძველს მისი მუსიკა იძლევა.

დროით-სივრცული პარამეტრების რთული პაკეტია წარმოდგენილი სულხანიშვილის „გუთნურში“: დროის აღმოსავლური აღქმა ვლინდება ნაწარმოების ზოგად იმპროვიზაციულ ბუნებაში, სოლისტის თავისუფალ-იმპროვიზირებად და მელიზმურ მელოდიაში. დროის შესახებ აღნიშნული წარმოდგენებით, იგი აღმოსავლეთ საქართველოს მუსიკალური ფოლკლორის თვისებებს ატარებს; ამას გარდა, შეგვიძლია ვისაუბროთ საქართველოს მთის ცნობიერებისთვის დამახასიათებელ მითოლოგიურ დროზეც, ვინაიდან, გუთნისდედის სახე ქართულ ეპოსში არქაული პერიოდის ყოფითი ტრადიციის გამოძახილია; რაც შეეხება დასავლურ

გაგებას, დროის დამორჩილების მისწრაფებას კომპოზიტორი ევროპული საკომპოზიციო ხერხების მიმართვაში ავლენს. იგი აღმოსავლეთ საქართველოს ფოლკლორის მახასიათებლებს ნაწარმოების ფორმაქმნადობის პროცესში ევროპული თავისუფალი იმიტაციისა და კონტრაპუნქტის ხერხებს უთავსებს. „გუთნურში“ დრო და სივრცე თავად მუსიკის ერთიანი მხატვრული პროცესია, რომელიც შრომას ასახავს. ამ ფაქტს აძლიერებს შრომის პროცესის ამსახველი დეკლამაციები, რაც ნაწარმოების ობიექტურ ქრონოტოპებს მსმენელისთვის თანადროულს ხდის.

დროით-სივრცული პარამეტრების განსხვავებული, სრულად დასავლური გაგება ვლინდება „მესტიურულში“, სადაც ერთი მხრივ, ქართული ფოლკლორის დასავლეთ დიალექტების ნიშნები, მეორე მხრივ კი ევროპული ხერხებისა და ფორმების სინთეზია წარმოდგენილი. განსხვავებით „გუთნურისაგან“, აქ სოლისტის მელოდია რიტმულად მკაფიოდ გამოხატული და თანაზომიერია. ნაწარმოების პროლოგსა და ეპილოგში ვხვდებით საგუნდო ხმების მარტივ იმიტაციას; დროზე ზემოქმედების ტრადიციული გაგება კი დასავლეთ საქართველოსთვის დამახასიათებელი კომპლექსური მრავალხმიანობის მიმართვაში ვლინდება: ნაწარმოების ცენტრალური საგუნდო რეფრენი თანაზომიერ მეტრულ-რიტმულ სტრუქტურასა და აკორდულ ფაქტურაშია მოცემული. „მესტიურულში“ სახეზეა ევროპული და დასავლეთ საქართველოს ტრადიციული მუსიკალური აზროვნების თავისებურებათა ორგანული სინთეზი.

საინტერესო დროით-სივრცული გადაწყვეტაა გუნდში „სამშობლო ხევსურისა“, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს მთის ფოლკლორს ემყარება. ნაწარმოები, მისი ფორმისა და აღნაგობის უჩვეულობის გამო მეცნიერთა ყურადღების ცენტრში ადრეც მოხვედრილა (წურწუშია, 2005:141). გუნდის პირველ ნაწილში კომპოზიტორი პროპორციულად ალაგებს ფრაზებს და ტაქტების ზრდადობის პრინციპით ქმნის ნაგებობას: 1+2+3+4 (მამაკაცთა + შერეული + ქალთა + შერეული). ნაწარმოების მხატვრული დრო მკაცრად ორგანიზებულია და მასზე ზემოქმედება მისი აჩქარებით ხორციელდება. შუა ნაწილში გამოყენებულია სიმღერის რესპონსორული ფორმა: კორიფე და გუნდი. ამ უძველესი ქართული ორხმიანობის ნიმუშს შემოაქვს დროის არქაული, მითოლოგიური გაგება; ფინალურ ნაწილში მოცემული ფუგეტა, რომელიც უცხოა ქართული ტრადიციული მუსიკისთვის, ფუგირებული ფორმის პირველ მაგალითს წარმოადგენს ქართულ პროფესიულ მუსიკაში. აქ სახეზეა ევროპული ფორმისა და ტრადიციული ინტონაციის სიმბიოზი. თემის სტრუქტული გატარება კი ე.წ. მთის დროს უფრო, მოქნილს ხდის და აჩქარების შეგრძნებას იწვევს, რაც დროის დამორჩილების დასავლური ხერხია.

აბსოლუტური ევროპული ხედვა კი სულხანიშვილმა თავის უკანასკნელ ქორალში - „ღმერთო, ღმერთო“ გამოავლინა, რომელიც ევროპულ კილო-ტონალურ სისტემაშია დაწერილი და მისი აკორდულ-ჰეტეროფონული წყობით, ფილოსოფიური აზროვნებითა და სპირიტუალური განწყობით, დროისა და სივრცის თანაბარფუნქციური, ევროპული გაგება მოგვცა. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სახეზეა ხმათასვლის ტრადიციული გალობისთვის დამახასიათებელი ნიშნები. ამასთან, დიდი ემოციური კავშირი ქართულ საეკლესიო საგალობელთან. ის სპირიტუალური ატმოსფერო, რასაც ნაწარმოების ჰბადებს სწორედ ტრადიციული გალობის განწყობის მატარებელია.

ამრიგად, ქართულ ტრადიციულ მუსიკაში დროით-სივრცული კატეგორიებისადმი დამოკიდებულების ანალიზი ცხადყოფს, რომ ქრონოტოპების ისტორიულად ჩამოყალიბებული ხედვა განსხვავებულ კულტურათა დიალოგის

შედეგია და წარმოგვიდგება, როგორც დროის აღმოსავლური, დასავლური და მითოლოგიური გაგების ორიგინალური სიმბიოზი. ნიკო სულხანიშვილის შემოქმედებაში დროით-სივრცულ აღქმასთან დაკავშირებული მიგნებები, უფრო ქვეცნობიერად, ფოლკლორული პირველწყაროების გავლენით იკვეთება, რაც კომპოზიტორის გენიალური ინტუიციის გამოვლენაა. ამასთან, ეროვნულ სიმღერა-გალობით ნასაზრდოები მისი მუსიკალური ცნობიერება ორგანულად ითავსებს მუსიკალური ფორმისა და ფაქტურის ჩამოყალიბებაში ტრადიციული მუსიკის დრამატურგიულ-არქიტექტონიკურ პრინციპებს და ევროპელ კომპოზიტორთა მიერ საუკუნეთა მანძილზე შემუშავებულ განვითარების ხერხების არსენალს. ავტორისეული ინდივიდუალური ხედვა ამ გამოცდილებათა ორიგინალურ და მაღალმხატვრულ შერწყმაშია გამოვლენილი.

მე-20 საუკუნის ქართულ პროფესიულ საგუნდო მუსიკაში დროით-სივრცული კატეგორიების გააზრება სწორედ ნიკო სულხანიშვილისაგან მომდინარე ტრადიციას, რაც მისი შემოქმედების მნიშვნელობის ახალ წახნაგებს წარმოაჩენს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თოფჩიშვილი, რ. კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია, ეთნიკური ისტორია, ეთნიკური კულტურა, თბილისი: უნივერსალი, (2007).
2. ქავთარაძე, მ. დროის ფაქტორი XX საუკუნის საგუნდო მუსიკაში (გ. ლიგეტის რეკვიემისა და ს. ნასიმის „ვედრებას“ შედარებით ანალიზის მაგალითზე), თბილისი, (2017).
3. ციციშვილი, ნ. აღმოსავლეთ საქართველოს მრავალხმიანი სასიმღერო სტილის შედარებითი და დარგთაშორისი შესწავლა ახლო აღმოსავლეთისა და ცენტრალური აზიის მონოდიური მუსიკის კონტექსტში, ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო სიმპოზიუმი, თბილისი: თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია, (2010).
4. წურწუმია, რ. მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ქართული მუსიკის ეროვნულ ტრადიციასთან დამოკიდებულების შესახებ, XX საუკუნის 20-50-იანი წლების ქართული მუსიკის ისტორიის ნარკვევები, თბილისი: თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია, 1998, გვ. 291-321.
5. წურწუმია, რ. მეოცე საუკუნის ქართული მუსიკა, თვითმყოფადობა და ღირებულებითი ორიენტაციები. თბილისი: თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია, (2005).
6. Орлов, Г. Древо Музыки. С-Петербург: Советский композитор, (1992).

მიღებულია: 2024-10-16